# ბურჯი ეროვნებისა

№4



მკითხველს ვთავაზობთ ილია აბულაძის წერილს, რომლის ადრესატია სიმონ ჯანაშია, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკი) დირექტორი.

წერილიდან კარგად ჩანს ბატონი ილიას წუხილი, გამოწვეული სამხრეთ საქართველოში ჩვენი კულტურული საგანძურის სავალალო მდგომარეობით.

ვფიქრობთ, მასალა კომენტარს არ საჭიროებს.

რუსუდან ჯანაშია

# ილია აბულაძის უცნობი წერილი

**ენიმკის დირექტორს პროფ. ს. ჯანაშიას**

მიმდინარე თვის 3-10-მდის ვიმოგზაურე ახალციხის მიდამოებში (აწყურიდან-ჭვინტამდის) სიძველეების შესასწავლად. მაინტერესებდა კერძოდ წინის წყალზე მდებარე ნამონასტრალის დათვალიერება. ვახუშტის ცნობით ეს მონასტერი კარგადაა დაცული, მხოლოდ „უქმია", ახლა კი იგი, რომელიც ქვემის მონასტრად იწოდება, მეტად სავალალო მდგომარეობაშია. ნაგებობა, რომელიც XII-XIII სს-ების ძეგლად გამოიყურება, თითქმის მთლიანად დაშლილია, ფრესკები გადასულია, გუმბათი ჩაწოლილი, გვერდებზე ქვები შემოცლილია და სხვ... აღარსადაა საადმშენებლო წარწერიანი ქვა, რომელიც ამ ორიოდე წლის უკან, ძეგლს კიდევ ჰქონია.

ასეთს მდგომარეობაშია სხვა ძეგლებიც. ცნობილი ბიეთის ეკლესია, რომელიც აღწერილი აქვს ექვთაყიშვილს და შეცდომით ვახუშტის მიერ წინისის [იმ?] მოხსენებული ეკლესია ჰგონია (ე.ი. ქუმისა), აგრეთვე აღარაა იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იგი მკვლევარს დახვედრია. ის თითქმის მიწასთანაა გასწორებული. მარტო მოუვლელობა აქ არაფერ შუაშია. ადამიანის ხელია, რომ აჩქარებს ამ სიძველეების მოსპობას, ანგრევენ და ზოგი ამ ნანგრევი ქვისაგან სახლს იშენებს, ზოგი - ბოსელს, და ზოგი კიდევ რას. ადგილობრივი საბჭოები არამც თუ დაცვისათვის ზრუნავენ, არამედ თვით უწყობენ ხელს მათ აღ[მო]ფხვრას. ასე მაგ.. სოფელ კლდის საბჭოს შენობის კიბეს საფეხურად ასეთი ნანგრევებიდან მოტანილი ორნამენტიანი ქვა აქვს გამოყენებული. შემოვლილი უბანი მეტად მდიდარია სიძველეებით. ეკლესიებს გარდა აქ უხვადაა ე.წ. „მაღაროები", გვირაბები, ჩამარხული ქვევრები და სხ... ნიადაგისა და მიწის სამუშაოების დროს ახალ-ახალი სიძველეები ჩნდება (მაგ. არხები), მაგრამ არავის ამის შესახებ ცნობას არ აწვდიან. არც კი ვინმე ითხოვს ასეთს. სიძველეთა დაცვის რწმუნებულის ხელიც არსად ჩანს. საცაა მალე რკინის გზის გაყვანას დაიწყებენ. ვინ იცის, რა არ აღმოჩნდება. თუ რაიმე ზომა არ იქნება მიღებული, ჩვენ თვალწინ ყველაფერი გაუჩინარდება.

გაცნობებთ რა ხსენებულს, გთხოვთ, აღძრათ სათანადო შუამდგომლობა პარტიისა და საბჭოთა ზემდგომი ორგანოების წინაშე, რათა მათი დავალებით ადგილზე რაისაბჭოსა და რაიკომის საშუალებით მიღებულ იქნეს ზომები როგორც არსებული სიძველეების დაცვისა და დაზოგვისათვის, ისე ახლად აღმოჩენილის მოვლა-პატრონობისათვის. ამასთანავე აუცილებელია, მიეთითოს სიძველეთა დაცვის კომიტეტს, რომ გააძლიეროს მუშაობა სიძველეთა აღრიცხვისა და შესწავლის დარგში ახალციხის სამხარეთმცოდნეო მუზეუმთან ერთად.

ილ. აბულაძე

*1940. 20-VIII.*

*თბილისი.*

## ახალი წიგნი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკაკი წერეთლის კაბინეტმა გამოსცა „აკაკის კრებული, I". ეს არის აკაკი წერეთლის მუდმივი , სემინარის შრომები. მთავარი რედაქტორი – პროფ. იუზა ევგენიძე.

